

ვიქტორინა მეცნიერების თასზე – 2015- 2016
X-XII კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით
14 ნოემბერი, 2015

2015 წლის 14 ნოემბერს, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით, საშუალო სკოლის X-XII კლასის მოსწავლეთათვის ჩატარდა ვიქტორინის შესარჩევი ტური – “მეცნიერების თასზე”. გუნდური პრონციპით ჩატარებულ შესარჩევ ტურში მონაწილეობა მიიღო საქართველოს 47 საჯარო და კერძო სკოლამ, რომელთა გუნდები 5-5 მოსწავლით იყო დაკომპლექტებული. მოსწავლეებს პასუხი უნდა გაეცათ 24 შეკითხვაზე. აქედან. 3-3 შეკითხვა იყო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგებიდან (მათემატიკა, ფიზიკა, ელექტრონიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია და გეოლოგია), ხოლო 3 შეკითხვა – თსუ შესახებ. აღნიშნული ღონისძიება უკვე ტრადიციად იქცა ფაკულტეტზე. ის 2012 წლიდან ტარდება და დიდი პოპულარობით სარგებლობს როგორც თბილისის, ისე რეგიონების მოსწავლეებს შორის. ამავდროულად ის ემსახურება მოზარდებში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პოპულარიზაციის საქმეს, რაც ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად იქნა აღიარებული.

ვიქტორინის წლებანდელ კონკურსში არის სიახლეც: შესარჩევი ტური პირველად ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, ტემპუსის პროექტის - **ARMAZEG**-ის მხარდაჭერით, რაც თანამედროვე ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვის საქმეს ემსახურება. ამ სპეციფიკიდან გამომდინარე შეჯიბრი “ღია წიგნის” პრინციპს დაეფუძნა. აქედან გამომდინარე, “მეცნიერების თასმა” სამეცნიერო პოპულარიზაციასთან ერთად საგანმანათლებლო ფუნქციაც შეითავსა. კონკურსში მონაწილე სკოლების გუნდებს ონლაინ წინდაწინ მიეწოდათ სავარჯიშო ტესტები, რათა მოსწავლეთათვის უცხო არ ყოფილიყო ონლაინ ტესტირება და უკეთ მომზადებულიყვნენ პასუხების სხარტად გასაცემად.

შესარჩევი ტური წარმატებული აღმოჩნდა 40 სკოლის გუნდის მოსწავლეთათვის, რომლებმაც 12-ზე მეტ შეკითხვას უპასუხეს სწორად და მოიპოვეს მეოთხედფინალის საგზური. აქედან. 39 გუნდმა შესაძლო 24 ქულიდან 12-ზე მაღალი ქულა მიიღო. ხოლო სოფ.ზედა საქარის საშუალო სკოლის გუნდმა მეოთხედფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა სავარჯიშო ტესტებში მიღებული ბონუს ქულებით.მომდევნო ტური ასევე ონლაინ რეჟიმში ჩატარდება დეკემბრის შუა რიცხვებში.

ღონისძიების ორგანიზატორები მიესალმებიან ახალგაზრდების დაინტერესებას ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დარგებით და წარმატებას უსურვებენ თითოეულ მონაწილეს.